

# ვირტუალური ფული– ბიტკოინი მსოფლიოში და საქართველოში

კავთარაძე ნინო – პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

## Virtual Currency - Bitcoin In the World and In Georgia

**Kavtaradze Nino** – Professor, Department of Business Administration, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

### Abstract

**Introduction and aim:** In the modern world the scientific and technical progress runs too fast, that makes the positive changes in offering different, constantly updated or completely new products for consumers and creating more comfort in providing services. In real, information technologies have a revolutionary impact on the economy.

The objective of the study is to show positive and negative consequences of the role of virtual money, both in terms of consumers and generally whole economics, characterization of the cryptographic currency and its recognition as the most important and successful or as questionable virtual currency without future developing prospect.

**Research methodology:** Research methodology of the paper includes analysis of materials related to the study topic, processing primary and secondary information.

**Results and implications:** The existence of virtual money in the form of Bitcoin has positive and negative consequences. Its existence in the economy of the country is comfortable for consumers: in terms of saving time and expenditure when they make transactions, as well as the absence of control mechanism and anonymity, with the absence of bureaucratic difficulties in the implementation of transactions.

The negative consequences of Bitcoin are crucial for the country, primarily due to lack of control over the process by official agencies, as well as the anonymity of consumers who create a wide range of money in the illegal activity. The absence of Bitcoin's exchange rate can cause significant damage to the customer, because wrong transaction made by using Bitcoin can never be returned.

**Conclusion:** It is impossible to make a conclusion that the existence of Bitcoin is generally negative or positive for economics, because it can bring both- positive and negative results.

**Keywords:** scientific and technical progress, economy, virtual money, cryptographic currency, Bitcoin.

### აბსტრაქტი

**მესავალი და მიზანი:** თანამედროვე მსოფლიოში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, რასაც დადებითი ცვლილება შეაქვს მომხმარებელთათვის განსხვავებული, მუდმივად განახლებადი ან სრულიად ახალი პროდუქტის შეთავაზებაში და მომსახურების გაწევაში მეტი კომფორტის შექმნაში. შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს რევოლუციური ზეგავლენა აქვთ ეკონომიკაზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ვირტუალური ფულის როლის არსებობით გამოწვეული დადებითი და უარყოფითი შედეგების გამოვლენა, როგორც მომხმარებელთა, ასევე ზოგადად ეკონომიკის კუთხით. კრიპტო ვალუტის დახასიათება და მისი აღიარება ყველაზე მნიშვნელოვან და წარმატებულ ან საეჭვო და განვითარების პერსპექტივის არმქონე ვირტუალურ ვალუტად.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს საკვლევ თემასთან დაკავშირებული მასალების ანალიზს, პირველადი და მეორადი ინფორმაციის გადამუშავებას.

**შედეგები და გამოყენება:** ვირტუალური ფულის არსებობა ბიტკოინის სახით მოიცავს დადებით და უარყოფით შედეგებს. მისი არსებობა ქვეყნის ეკონომიკაში კომფორტულია მომხმარებლისთვის: ტრანზაქციათა განხორციელებისას დროის და ხარჯის ეკონომიის კუთხით, ასევე კონტროლის მექანიზმის არარსებობით და ანონიმურობის დაცვით, ტრანზაქციათა განხორციელების დაწყებისას ბიუროკრატიული სირთულეების არარსებობით.

ბიტკოინთან დაკავშირებული უარყოფითი მომენტებიდან უმნიშვნელოვანესია ის არასასურველი შედეგი რომელის მოტანაც მას შეუძლია სახელმწიფოსთვის, პირველ რიგში ოფიციალური უწყებების მხრიდან

პროცესის კონტროლის ბერკეტების არარსებობის გამო, ასევე პრობლემატურია მომხმარებელთა ანონიმურობა, რომელიც არალეგალურ საქმიანობაში ფულის გამოყენების ფართო არეალს ქმნის. ბიტკოინის გაცვლითი კურსის არასრსებობამ მნიშვნელოვანი ზიანი შეუძლია მოუტანოს მომხმარებელს, ასევე არასწორად განხორციელებული ტრანზაქციისას გაგზავნილი ბიდეკოინის უკან დაბრუნება შეუძლებელია.

**დასკვნა:** შეუძლებელია ცალსახად გაკეთდეს დასკვნა, რომ ბიდეკოინის არსებობა ზოგადად უარყოფითი ან დადებითი ეკონომიკისთვის, რადგან მას შეუძლია როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგების მოტანა.

**საკვანძო სიტყვები:** სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკა, ვირტუალური ფული, კრიპტო ვალუტა, ბიტკოინი.

დღესდღეობით, მსოფლიო მასშტაბით, ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენს ციფრული ფულის, იგივე კრიპტოვალუტის შემოტანა ანგარიშწორების სისტემაში.

ციფრული ვალუტიდან ყველაზე მნიშვნელოვანად და ანგარიშგასაწევად, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ბიტკოინი ჩავთვალოთ. ბიტკოინი, როგორც ელექტრონული გადახდების საშუალება დამკვიდრდა 2008 წელს, კომპიუტერული პროგრამების დეველოპერის – სატომი ნაკამოტოს მიერ. მისი მიზანი იყო სახელმწიფო ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების კონტროლიდან გათავისუფლებული, მათემატიკური ალგორითმების გამოყენებით მართული ფულის შექმნა, რომელიც ტრანზაქციებზე მინიმალური დროისა და სახსრების ხარჯვის საშუალებას მისცემდა მომხმარებელს.

არსებული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნაკამოტოს ჩანაფიქრი რეალური და განხორციელებადი აღმოჩნდა, თუმცა, მთელი რიგი დადებითი მომენტების გარდა, ბიტკოინის გამოყენებას თან ახლავს უარყოფითი ასპექტებიც.

როგორც უკვე აღინიშნა, ბიტკოინი ფართოდ გამოიყენება შესყიდვების განსახორციელებლად, ასევე შესაძლებელია მისი შენახვა და შექმნა, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ელექტრონულად ხდება, ანუ, ტრადიციული ვალუტებისაგან განსხვავებით, ის არ მიმოიქცევა ნაღდი ფულის სახით, არ ხდება მისი ემისია და დაგროვება საბანკო ანგარიშებზე– რაც მას სახელმწიფო ოფიციალური უწყებებისგან აბსოლუტურად უკონტროლოს ხდის.

ბიტკოინის შექმნაში–მაინინგში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ამისთვის საჭიროა კომპიუტერში ბიტკოინის კლიენტი პროგრამის ინსტალაცია. სისტემაში შეტყობინების გავრცელება ხორციელდება ქსელში ჩართული მონაწილეების საშუალებით, რომლებიც, პროგრამის მუდმივი განახლების პირობებში იღებენ ინფორმაციას ახალ მფლობელებზე.

ბიტკოინი ტრადიციული ვალუტებისგან განსხვავებით, არაა ოქროთი გამყარებული და ემყარება მათემატიკას, ასევე მას არ აქვს ცენტრალიზებული სახე და ფუნქციონირებისას არ ემორჩილება ზემდგომი ორგანოებისგან დადგენილ წესებს და მოქმედების ნორმებს. ბიტკოინის ფლობისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ის დადებითი მხარეები და გარკვეული უხერხულობები რომლებიც მას გააჩნია.

ბიტკოინის ერთ–ერთ მნიშვნელოვან დადებით მხარეს წარმოადგენს მისი არაკონტროლირებადი მიმოქცევა, ანუ ციფრული ვალუტის ეს სახეობა ცენტრალური ანდა სახელმწიფო უწყებებიდან ზედამხედველობას არ ექვემდებარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პიროვნების მფლობელობაში არსებულ ბიტკოინს დაკარგვის არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ასევე, მეტად კომფორტულია სიმარტივე, რომელიც ბიტკოინის ქსელში ჩართვის მსურველს ტრადიციულ

ბიუროკრატიას ააცილებს, რადგან მისი მისამართის შექმნაში დროის და მატერილური ხარჯი თითქმის ნულს უტოლდება, ეს იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებლის ანონიმურობა მაქსიმალურად დაცულია. ბიტკოინის ქსელის ტრანზაქციების ისტორიას ე.წ. Block chain ბაზაში ინახავს, ქსელი მაქსიმალურად გამჭვირვალეა, თუმცა მისამართი მფლობელის შესახებ პირად ინფორმაციას არ მოიცავს. ბანკებისგან განსხვავებით, ბიტკოინის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციები სწრაფი და მოსახერხებელი, ხოლო საკომისიო მინიმალურია.

ვირტუალურ ვალუტას, ბიტკოინს, უკავშირდება ასევე გარკვეული უარყოფითი მომენტები, რომელიც ზრდის მასთან დაკავშირებული ოპერაციების რისკებს და ერთი შეხედვით მიმზიდველი ვალუტის ფლობის მსურველს საკმაო თავსატეხს უჩენს. პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბიტკოინს არ გააჩნია ოფიციალური გაცვლითი კურსი და ის მასზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას ემყარება. კურსი მეტად მგრძობიარეა კრიპტოვალუტასთან დაკავშირებით გავრცელებულ უარყოფითი შინაარსის ინფორმაციასა და მისდამი ურყოფითი დამოკიდებულების მიმართ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შეცდომით, არასწორად განხორციელებული ტრანზაქციით გაუთვალისწინებელი პირისთვის გაგზავნილი ბიტკოინი უკან აღარ ბრუნდება. დადებით მახასიათებლებზე საუბრისას აღინიშნა ვირტუალური ვალუტის მეტად კომფორტული თვისება-მომხმარებლის ანონიმურობა, თუმცა ეს არალეგალურ სამიანობაში მისი გამოყენების რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის, რითაც საფინანსო სექტორის მარეგულირებელ ორგანოებს და სახელმწიფო უწყებებს პრობლემებს უქმნის, განსაკუთრებით სახიფათოა ის ცენტრალური ბანკების რეპუტაციის შენარჩუნების თვალსაზრისით.

საქართველოში ბიტკოინების მწარმოებელი კომპანია- ინფორმაციის გადამამუშავებელი ცენტრი 2014 წელს გაიხსნა და ის „ბიტფური“-ს სახელითაა ცნობილი. კრიპტოვალუტის ფლობის მსურველს მისი შექმნა eMoney-ს ბალანსზე რიცხული თანხით შეუძლია. ბიტკოინის გამომუშავება ღილაკზე ერთი დაჭერითაა შესაძლებელი, შემდეგ დაგროვილი ვირტუალური ვალუტა უნდა განათავსდეს eMoney-ს საფულეში და მიეყიდოს მსურველს, რითაც მფლობელი გამოიმუშავებს შემოსავალს ლარში და გამოიყენებს მას შეხედულებისამებრ, რადგან მსოფლიოში ორგანიზაციათა დიდი რაოდენობა მომხმარებლისთვის წარმოდგენილი პროდუქტის შესაძენად ბიტკოინს გადახდის სშუალებად აღიარებს.

შეუძლებელია ცალსახად გაკეთდეს დასკვნა, რომ ბიტკოინის არსებობა ზოგადად უარყოფითი ან დადებითია ეკონომიკისთვის, რადგან მას შეუძლია როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგების მოტანა.

### გამოყენებული წყაროები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი. ოფიციალური ვებგვერდი, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
2. eMoney. ოფიციალური ვებგვერდი, <https://www.emoney.ge/index.php/content/bitcoin>
3. <https://www.bitcoin.com/>
4. <http://money.cnn.com/infographic/technology/what-is-bitcoin/>